№ 147, ოთხშაბათი, 19 მარტი. 1896–1897 ოთხშაბათი, 19 მარტი, № 147.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ამ მომდინარე 1897 წლისთვის
მიიღება ხელის მოწერა ყოველ დღიურ გაზეთ
„ცნობის ფურცელზედ“
ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიეცა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი“, შედგენილი გალ. გუნიას მიერ.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13.
Редакція „Цнобисъ Пурцели“.

კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. კ. ი. მუხრან ბატონიშვილისა № 6/1

5 მარტიდგან 1897 წ. დაიწყო თავისი მოქმედება

„შუამავალი“

ჭლებ-მიცემის მაღაზიამ,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ პირიანად: სანოვაგე ყოველგვარი, სახსნილო და სამარხო: კონსერვები, სანთელი, ხილეული, შაქარი, ჩაი, ყავა, შოკოლადი და კაკაო; ღვინოები სხვა და სხვა ფირმებისა; არყები და სასმელები სარაჯიშვილისა, რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა; სიგარა, პაპიროზი, თამბაქო, გილზები სხვა და სხვა ქარხნებისა; საყოველდღეო საჭირო საგნები, როგორც, მაგალითად,—საპონი, სანთელი, წკირა, (სპიჩკა), ქაღალდები, მელნები, სახამებელი, ვაქსი, პარაფინი, ჟელატინი, სათამაშო ქაღალდი, და სხვა და სხვა...

ჩაის მყიდველთ დაეთმობათ ათის თავზე, ესე იგი მანათზედ ორი შაური.

მაღაზიაში დაცულია სისუფთავე და ზრდილობიანი მოპყრობა მუშტარითან.

(3—1)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.

ფასი მასალებისა მეტად იაფია

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში. მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, или Очемчиры, Теймуразу Чачава.

(300—55)

Изданія Владимира Бончъ Бруевича

Продаются во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Москвы, Петербурга и другихъ большихъ городовъ:

1. **Карлъ Марксъ.** *Критика нѣкоторыхъ положеній политической экономіи.* Переводъ П. Румянцева подъ редакціей А. Мануилова, изд. 2-ое, цѣна, безъ пересылки, **1 руб.**

2. **Людвигъ Гумпловичъ.** *Соціологія и Политика*, переводъ С. Прокоповича, цѣна, безъ перес., **50 коп.**

3. **Павелъ Кампфмейеръ.** *Изъ нѣмецкой деревни* (экономическій очеркъ) перев. М. Толмачевой, цѣна, безъ перес. **15 коп.**

(6—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.

მკ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და 1½—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6½—7½ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. ბერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი. თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია. (წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“)

17 მარტი.

პარიჟი. კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს სამართალში მისცეს სახელ-შებღალული დეპუტატები, განიხილა გამომძიებლის ხელში მყოფი საქმის შესახები საბუთის ქაღალდები და არტონის წერილები. ხვალ საგანგებო თათბირი უნდა შესდგეს მინისტრებისა.

ახალი ამბავი

⁂ **ქ. ახალციხე. მზადება თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეისათვის.** ახალციხის ქართველები უკვე შეუდგნენ მზადებას ილიას იუბილეისათვის და შესაფერი თანხა გროვდება კიდეც. ამ საქმის მეთაურობა უკისრნია ღენერალ მაიორს ალექსანდრე ივანეს ძე მუსხელიშვილს (ძმაა ცნობილის დიმიტრი ივანეს ძისა). მთელი საზოგადოება ერთგულად შესდგომია ამ საქმის სისრულეში მოყვანას. თვითონ პატივცემული ალექსანდრე ივან. მუსხელიშვილი ძლიერ ცდილობს და მხნედ მოეკიდა ამ საქმეს, რომ შესაფერი თანხა მოგროვდეს რაიმე სასარგებლო საქმის მოსახმარებლად.

⁂ **გვირგვინოსანნი სტუმარნი.** აღდგომის კვირიდამ დაწყებული პეტერბურგს ეწვევიან გვირგვინოსანნი სტუმარნი. პირველად მოელიან ავსტრიის იმპერატორს ფრანც-იოსებს, მერე სიამის კოროლს, გერმანეთის იმპერატორს ვილჰელმს, იტალიის ტახტის მემკვიდრეს თავისის მეუღლით, ჩერნოგორიის თავადს და საბერძნეთის სამეფო სახლის წევრთ. ივნისში მოვა პრეზიდენტი საფრანგეთის რესპუბლიკისა—ფელიქს-ფორი.

⁂ **მეგაზეთეთა კრება.** ზოგიერთ ჟურნალისტებმა აღძრეს კითხვა, რომ შემოდგომაზედ ამ მიმდინარე წლისა პეტერბურგში, ან მოსკოვში შესდგეს მეგაზეთეთა კრება. კრებას ექნება საგნად გამოარკვიოს არსებითი საჭიროებანი გაზეთის მუშაკთა.

⁂ **თათბირი ფილოქსერის თაობაზე ქ. პეტერბურგში.** 26 მარტს დანიშნულია სამეურნეო სამინისტროში თათბირი ფილოქსერის შესახებ. ამ თათბირზე კავკასიიდამ მიწვეულნი არიან სამეურნეო სამინისტროს რწმუნებული ი. ს. მედვედიევი და ტფილისის საკონტროლო პალატის მმართველი ვ. ს. ბუტირკინი.

ბ-ნ მედვედევს დეპეშით უთხოვნია სამეურნეო სამინისტროსათვის, ნება დაერთოს აგრონომს თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილს, რომ მანაც მონაწილეობა მიიღოს იმ თათბირში.

⁂ **განსვენებულ თ. ნ. ზ. ჭავჭავაძის** ცხედარისათვის ღირსეული პატივი უციათ 14 მარტს დ. გომბორში. განსვენებულის ცხედარი მოუსვენებიათ გომბორში მისს ნაცნობთა და ნათესავებს 13 მარტს; 14-ს, დილით გომბორის სამხედრო ეკკლესიაში გადაუხდიათ პანაშვიდი, რომელსაც დასწრებია დიდძალი ხალხი და ჯარის-კაცნი. ეკკლესიიდამ სოფლის საზღვრამდე გააცილა, თურმე, ჯარმა და გამოთხოვების დროს სახელოვან მეომარის პატივსაცემლად თოფ-ზარბაზნები დასცალა.

⁂ **ლოთების ექიმის გაშარვა.** ლოთების ექიმი ალავერდოვი, რომელსაც მეეტლემ უჩივლა, ჯამაგირს არ მაძლევსო, და ტფილისის მე-3 ნაწილის მომრიგებელ მოსამართლემ განჩინება დასდო, რომლის ძალით ალავერდოვს უნდა გარდახდოდა მეეტლეს სასარგებლოდ 15 მანათი, როგორც ნამდვილის წყაროდან აღმოჩნდა, ტფილისიდგან გაპარულა, ამბობენ, მოსკოვს წავიდაო. ალავერდოვს თვით მსაჯულისადმი შეურაცხყოფის მიყენებაც ჰბრალდებოდა და ამისთვის მისაჯა ხუთმეტი დღით ციხეში დაპატიმრება.

⁂ **ცვლილება ტფილისის სასულიერო სემინარიაში.** თბილისის სასულიერო სემინარიის საღმრთო-წერილის მასწავლებელი მღვდელ-მონოზონი მ. დიმიტრი (აბაშიძე), ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად იქმნა გადაყვანილი. მ. დიმიტრი სულ ექვსი თვე არ არის, რაც სემინარიაში მასწავლებლად და ამ მოკლე ხანში იმდენი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, რომ ყველას დიდათ სამწუხაროდ აქვთ მისი სხვაგან გადაყვანა.

⁂ **ყალბი ხუთ-შაურიანის გახშირება ქალაქში.** ტფილისში და მისს ახლო-მახლო სოფლებში ამ ჟამად მეტად გახშირებულია ყალბი ვერცხლის ხუთ-შაურიანი, რომელიც, თურმე, იმდენად მოხერხებულად არის ჩამოსხმული, რომ ნამდვილისაგან ძნელად განირჩევა და ამიტომ მდაბიო ხალხი ადვილად სტყუვდება.

⁂ **ჭაბუკის თავის მოკვლა.** 17 მარტს, საღამოს 8 საათზედ, კათოლიკეთა ქუჩაზე, № 12 სახლში, 17 წლის ჰაბუკს, თავის მოკვლა განუზრახავს და დამბაჩა უსვრია მარცხენა გვერდში, გულს ქვევით. საცოდავს, მაშინვე გრძნობა დაჰკარგვია და მიხეილის საავადმყოფოში წაუყვანიათ. ექიმებს ჭრილობა სასიკვდილოდ უცვნიათ.

რამ აიძულა, საცოდავი, თავის მოკვლას, ჯერ ჯერობით ვერ გამოიკვლიეს, რადგან მას არავითარი ბარათი არ დაუტოვებია, თითონ-კი გრძნობა დაკარგულია და ჩვენებას ვერ იძლევა.

⁂ შავი ჭირის გამო. ამას წინეთ გაზეთ „კავკაზის“ 34 №-ში ექ. მოსტოვიჩის მიერ დაბეჭდილს წერილში („ჭირთან ბრძოლაზედ“) იყო მოყვანილი რამდენიმე ადგილები პროფესსორ იზბრანდ დიმერბოკის დღიურიდან. ამ საინტერესო წერილიდან იყო გადმობეჭდილი „ცნობის ფურცელშიაც“ № 115-ში, პატივცემულის მე-XVII საუკ. მსწავლულის ზოგიერთა დარიგებანი, რომლითაც მას ჰოლლანდიაში ორი წლის განმავლობაში თავიდან აუცილებია ჭირი. არა მგონია, რომ საყურადღებო არ იყოს ჩვენთვის, მოვიყვანოთ ის დამატებითი ახსნა დიმერბოკის დღიურისა, რომელიც ექ. მოსტოვიჩს მოჰყავს „კავკაზის“ № 70-ში. ავტორი ამ უკანასკნელის წერილისა იმ მნიშვნელობას კი არ აძლევს დიმერბოკის დღიურს, რომ ყოველი მისი მუხლი უსათუოდ იყოს შესრულებული, არამედ დიდ სარგებლობას აწერს მას სენის ასაცილებლად, რომელიც ამ ჟამად მოფენილია ზოგიერთ ქვეყნებში და ჩვენც გვიახლოვდება.

არამც თუ მარტო ჰოლლანდიასა, ბელგიასა და შვეიცარიაში—ეხლა გერმანიაშიაც მოიპოვება ძალიან ნაზი და მწვანე ყველი, რომელსაც ექ. დიმერბოკი ხმარობდა საუზმის დროს (Kraùtaikäse, grüner k.), მომზადებული სხვა და სხვა ბალახების შერევით, უმეტეს სამფოთლიანი ვარდკაჭაჭის (melilotus coerilea Steinklee) მაღალ ფასიანი, რადგან 100 კილოგრ. რძიდგან გამოდის მარტო 9 ყველი. ამით უწინ განთქმულ იყო ჰოლლანდია და ამ უკანასკნელ დროს—დანია, სადაც ამორჩეულია მთელი საზოგადოება, რომლის ზედამხედველობითაც მზადდება ყოველივე ამგვარი საზრდო და, რა თქმა უნდა, ეს ყველიც, როგორც ძვირფასი, ძნელი საშოვარიც იქნება. ამისათვის, ვისაც სურს კვალ და კვალ მისდიოს დიმერბოკის დარიგებას, რადგან ეს ხჩენებული მწვანე ყველი ჩვენში იშვიათად მოიპოვება, სჯობს ეპიდემიის დროს კაცი სრულიად ერიდოს ყველა ნაირ ყველს და ერბოს და საუზმეზედ იხმაროს ჩაი და შინ მომზადებული საჭმელი მსხვილ-ფეხა საქონლის ხორცისა.

პალინის თეთრი ღვინო—ძნელი ასახსნელია, რა თვისებისაა. უწინ, როგორც სჩანს, პალინს სთვლიდნენ ქალის რძის გამოსაწვევ საშუალებად და ამისთვის „პალინი ღვინოს“ ეძახდნენ „Frauenmilch—ქალის რძე“ და ამ ღვინოს ხმარობდნენ ლიტვის გუბერნიაში, პრუსიის მახლობლად. ფერად, როგორც სჩანს, ის ყოფილა მომწვანო, ცოტაოდენ მომწარო გემოსი, რეინის ღვინის არომატით.

რაც შეეხება იმ ადგილს დღიურისას, სადაც დიმერბოკი გვირჩევს ვერიდოთ ღორის ხორცს, თევზს და შინაურ ფრინველს, რომლებიც შეადგენენ უპირველეს მიზეზს ავადმყოფობისას, უნდა დავუმატოთ ის, რომ ცნობილია სიმრავლე რუებისა და არხებისა ჰოლანდიაში, რომლებშიაც ყოველ ნარჩენ რასმე გადაჰყრიდნენ ხოლმე. რასაკვირველია, ყველა ამას თევზი გადაუყლაპავს და ესენი ხშირად იყვნენ უპირველესნი მიზეზნი ავადმყოფობის გადადებისა“ რადგან თევზს მაშინ არავინ ერიდებოდა. ესევე უნდა ვსთქვათ ღორებზედ და ყოველგვარს შინაურს ფრინველზედ; აქედან სჩანს, რომ ჭირიანობის დროს ბალახის მაძოვარ საქონლის ხორცი და გარეული ფრინველისა არ უნდა იყოს მაწყინარი.

დასასრულ, თამბაქოს, რომელსაც პროფ. დიმერბოკი დიდ მნიშვნელობას აძლევს, სწევდა მარტო სახლში, როდესაც ავადმყოფებისაგან დაბრუნდებოდა და ჰქონდა მხედველობაში მხოლოდ მისი შინაგანი გავლენა—ნიკოტინისა ტვინზედ და არავითარს მნიშვნელობას არ აწერდა არც იმის სუნს, არც ბოლს. თამბაქოს წევა, როგორც გაგებული გვაქვს, იწვევს თავბრუს ხვევას და სისუსტეს, რომელიც თითქმის თანასწორია იმ გრძნობისა, რასაც ჭირით ავადმყოფი გრძნობს და როგორც ჩვენი ანდაზა გვეუბნება, ჭირი ჭირის მარგებელიაო, დიმერბოკი სწევდა ზედი ზედ 6—7 ჩიბუხს არჩეულ ხარისხის თამბაქოს და ჭირის წინეთ კი არ ყოფილა შეჩვეული თამბაქოს წევასა, და ეჭვი არ არის ეს გარემოება ფრიად სასარგებლო იქმნებოდა. ეხლა-კი ამ წამალმა იქნება დაჰკარგა კიდეც თავისი ძალა, რადგან მას შემდეგ $1\frac{1}{2}$ საუკუნეს გაუვლია და როგორც ექ. მოსტოკიჩი მოგვითხრობს, ექ. ტრანშენის სიტყვით, როდესაც მას ერთმა პაციენტმა ჰკითხა მის წამლის გავლენაზედ—უპასუხა: „ინებეთ, ინებეთ, ბატონო, რაც შეიძლება სიჩქარით მაგ წამლის მიღება, თორემ დრო ამოიჭამს მაგის ახალთვისების ძალას და გავლენას ველარ იქონიებსო“.

გრ. ნ. ერისთავი.

⁂ თელავი. **თავ. ნიკოლოზ ზურაბის ძის ჭავჭავაძის ცხედრის მოსვენება თელავში.** 14 მარტს თელავის მაზრის თავად-აზნაურობა დილიდგანვე გავიდა თელავიდგან მის გებებლად განსვენებულისა. თავად-აზნაურობასთან ერთად ბრძანდებოდნენ წინამძღოლი თავ. დ. მაყაშვილი და მაზრის უფროსი ბ. ვ. ვ. განსევიჩი. შუადღის შემდეგ 2 საათზედ მოასვენეს ცხედარი შუა მთის მონასტრის დასწვრივ, სადაც შეეგება თავად-აზნაურობა და მცირე პანაშვიდის შემდეგ დაადო გვირგვინი თელავის მაზრის თავად-აზნაურთაგან. აქედამ დაიძრა პროცესია და გაიარა ოთხი ვერსი თუ არა, სოფელ ვარდის უბნის სამზღვარზედ დახვდა ამ სოფლის სამღვდელოება ბლაღოჩინით ქ მრევლითურთ. აქედამ შემოსილი სამღვდელოება წარუძღვა ცხედარს და ჯერ სოფელი არ გაევლოთ, რომ პროცესიას დაჰხვდა სამგლოვიაროდ ჩაცმული თელავის კეთილშობილთა მანდილოსნობა. გავიდა სოფელს პროცესია და აქ თელავის სამზღვარზედ პატივი სცა ადგილობრივმა დრუჟინამ, რომელსაც ახლდა მთელი გუნდი მუზიკისა. აქავე ახლო შეეგება ცხედარს ქ. თელავის სამღვდელოება, ქალაქის ხმოსანნი და მცხოვრებელნი. მცირე პანაშვიდის შემდეგ, ქალაქმა მიართვა გვირგვინი წარწერით—„კახეთის დედა-ქალაქისაგან საუკეთესო შვილს ნ. ზ. ჭ.“ პროცესიამ ისე იმატა, რომ ძლივს ეტეოდა თელავის დიდს ქუჩაზედ; თავი შუა ქალაქში იყო, როცა ბოლო ჯერ ისევ სამზღვარზედ იდგა. მაღაზიები და დუქნები სულ დაკეტილი იყო. პროცესიას წინ მიუძღოდა ორი გუნდი მგალობელთა, უკან მოსდევდა სამხედრო მუზიკა და განუწყვეტელი გალობით და დიდძალი სამღვდელოების წამძღვარებით შეასვენეს თელავის სობოროს ეზოში, სადაც კვალად იქმნა გადახდილი პანაშვიდი, რის შემდეგ ცხედარი შეასვენეს სობოროში და დააყენეს საპატიო დარაჯი. ცხედარის კუბო ქალაქის სამზღვრიდამ სობორომდის მხრებზედ დადგმული მოასვენეს მოქალაქეთა, რომელნიც იყვნენ 9 სადროშონი და რომელთა დროშანი მოუძღვოდნენ წინ. ხალხი 6 საათზედ დაიშალა.

15 მარტს, დილით 10 საათზედ, შეიკრიბა ხალხი. წირვის შემდეგ ცხედარი ეზოში გამოასვენეს, აქ პანაშვიდი გადიხადა დიდძალმა სამღვდელოებამ დეკანოზის ი. ხირსელის თავმდგომობით. გალობდა ქართველ მგალობელთა გუნდი ს. სასწავლებლისა ბ. სულხანიშვილის ლოტბარობით. პანაშვიდის შემდეგ წარმოითქვა სამი სიტყვა: მღვდლის მამა იოანე შიუკაშვილისაგან, ბ. ილია ე. ზურაბიშვილისაგან და ქ. ბარბარე სულხანიშვილისაგან.

პირველად სიტყვა წარმოსთქვა ქ. ბარბარე სულხანიშვილისამ და ბოლოს, გამოთხოვებისას, მღვ. იოანე შიუკაშვილმა. მე, ჩემგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო, ჯერ ვერ აღვნიშნავ მ. შიუკაშვილის და ბ. ზურაბიშვილის სიტყვებს, რომელთაგან ერთმა უფრო ფრიად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯერ-ჯერობით მოვიყვან სიტყვას პირველად თქმულს:

სიტყვა ქ. ბარბარე სულხანიშვილის ასულისაგან თქმული.

„ქვეყანა ხელის გულივით გადაშლილია ჩვენ თვალწინ, მაგრამ ჩვენ იმას ვხედავთ იმ სისრულით, რა სისრულემდისაც შენი გონების საზრი სწვდებოდა!

ჩვენ ყველანი თანამედროვე ცხოვრების მდინარეში ვსცურავთ, მაგრამ შენსავით არავის შეეძლო გაზომნა სიღრმე და სივრცე მისი ავკარგისა!

და ეს მოხდა მისთვის, რომ შენში უფრო ძლიერად იყო გაღვივებული ღვთიური ნაპერწკალი, რომელმაც ასე ზევით დაგაყენა მომაკვდავთა გროვაზედ.

დიახ, შენ იყავ და იქმნები მარადის გმირი, უხვად შემკული ყოველი გმირული თვისებითა: შენი გულწრფელობა, უანგარობა, ღრმა ჩაფიქრება, თავ-დადებამდის სიმართლის და ჭეშმარიტების აღიარება, დაჩაგრულთათვის დაუზოგავად თავის-გამოდება, მთელი ერის გმირული გამოსარჩლება—გხადიან ღირსად, იყო ჩვენთვის საუკუნოდ სამაგალითო და სასიქადულო სათაყვანებელი.

ვინ არის, რომელ არ დაემონოს ამის ურიცხვთა ღირსებათა? ჩვენდა უნებურად ვემონებით მის გმირულს-გმირობასა.

ამისთანები ატკბობენ მწარე ცხოვრებასა... ამისთანანი სცვლიან ჩვენთვის შეუცვლელსა... ამისთანები ანათებენ იმ მწყვდიადს, რომლითაც მოცულნი ვართ...

დღეს-კი, დღეს ხელიდამ გამოგვეცალა ეს დიდი ნუგეში!!! ვინ იჭერს ამის ადგილს დაჩაგრულთათვის?.. ვინ იჭერს ამის ადგილს გაჭირვებულთათვის?... ვინ იჭერს იმის ადგილს მთელი ხალხისათვის?... ვინღა გაგვიწევს ნიკოობასა?

სწორედ აქა მწყდება გული და მეტანჯვის სული:

მშვიდობით, დიდებულო გმირო, მშვიდობით! გარდაეცი იქ, საიქიოს ჩვენს გმირთა გუნდს, რომ საქაოს გმირთა ასპარეზი ცარიელდება; ილოცეთ, რომ აქაც გამრავლდნენ გმირნი ისე, როგორც მანდა მრავლდებით-თქო. მშვიდობით.“

ამ სიტყვამ მრავალი ცრემლი გამოიწვია.

პროცესია დაიძრა 11 საათზედ. თელავის სამზღვარზედ დაჰხვდნენ კურდღელაურლები. აქ ბლაღოჩინმა მიხეილ ხელაშვილმა წარმოსთქვა გამოსათხოვებელი სიტყვა, რომელსაც იმავე მიზეზით ვერ აღვნიშნავ დღესა. მანდილოსნობა დაბრუნდა. ხალხი კიდევ კარგა მანძილს გაჰყვა. ხიდზედ ცხედარს შემოეგება ასზედ მეტი ცხენოსანი, ბოქაულის ბ. გომე-

---

სახალხო ჰიგიენა

III

რა ჰბადავს გენიოსს?

იმ პირობათა შორის, რომელნიც ჰქმნიან გენიოსს, პირველი ადგილი უჭირავს ჩამომავლობას. უმეტეს ნაწილს ინგლისელთა სწავლულთა და მეცნიერთა უდგათ ძარღვებში ნამდვილი ინგლისური სისხლი. ამიტომაო, ამბობს გალტონი, სისხლის არევა, თუნდაც განათლებულ ერთა შორის, ცუდათ მოქმედობს ჩამომავლობის ჭკუა-გონებაზე. ასეთი დასკვნა გალტონისა ბევრს ვერ დააკმაყოფილებს. მართალია, მან შეჰკრიბა ასეთი ფაქტები. 180 ინგლისელ ნიჭიერ კაცთა შორის 3 თუ 4 ურევია შერეული დედ-მამის შვილები, თორემ დანარჩენები ნამდვილი ინგლისელები არიან. უნდა დავეთანხმნეთ, რომ ეს ასეა, მაგრამ ადვილად შესაძლებელია წინააღმდეგი ფაქტების დასახელებაც. რუსეთის ნიჭიერი ხალხი, პოეტები, ნახევარზე მეტი შერეული სისხლისანი იყვნენ. კანტემირი, კარამზინი, ჟუკოვსკი, პუშკინი, ტურგენიევი,—ეს საუკეთესო შვილნი რუსეთისანი, წმინდა რუსის ჩამომავლობანი არ იყვნენ. ასევე უნდა ითქვას ჩვენს ილია ჭავჭავაძეზე, რომელსაც დედა სომხის ქალი ჰყვანდა.

სიმდიდრე ერთი იმ პირობათაგანია, რომელიც ხელს უწყობს გენიოსის გაჩენას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მდიდარი მშობლები თავიანთს შვილებს აძლევენ საუკეთესო განათლებას, მეორე და უფრო იმიტომ, რომ შეძლებულობა აძლევს კაცს ბევრს თავისუფალს დროს ფიქრისა და გონების სავარჯიშებლად. მხოლოდ იმ ოჯახში დაიბადება გენიოსი, სადაც წევრთა აზრი-გონება დიდი ხანი ჩამომავლობით იწვრთნებოდა, ილესებოდა. ამისათვის-კი საჭიროა, რომ სიმდიდრეც შერჩებოდეს გვარში რამდენსამე თაობას.

საკვირველია, რომ ნიჭიერი ხალხი უფრო ქალაქებში იბადებიან, ვიდრე სოფლებში. 100 ინგლისელ სწავლულთა შორის 60 დაბადებულა ქალაქში და მხოლოდ 40 სოფელში. ასეთსავე აზრს დაადგა მეორე მკვლევარი ამავე საგნისა დე-კანდოლი. თუმცა, მართალია, ქალაქში ცხოვრება არ არის კარგი ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ნაცვლად ამისა ქალაქში ადვილად იძენს კაცი საცხოვრებელს და ამ საცხოვრებელს კიდევ, როგორც მოვიხსენიეთ, დიდი მნიშვნელობა აქვს ნიჭიერების შექმნაში. გარდა ამისა ქალაქის რთული ცხოვრება მეტს საზრდოს აძლევს კაცის გონებას. უმთავრეს პირობად გენიოსობის შესამზადებლად უნდა ჩაითვალოს ოჯახის გავლენა. თითქმის ყველა მეცნიერები და სწავლულნი თავიანთ მისწრაფებას სწავლა-მეცნიერებისადმი ჰხსნიან მშობლების—მეტადრე მამის—ჩაგონებით, იმით, რომ ჩვენ პატარაობიდამვე ჩაგვენერგა, ჩაგვესახა გულში მამის გავლენის ქვეშ სიყვარული ამა თუ იმ მეცნიერებისადმიო.

ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც შვილს მშობლების სურვილის სრულიად წინააღმდეგ აურჩევია ესა თუ ის სამეცნიერო გზა.

თუ მივაქცევთ ყურადღებას სწავლულ კაცების მშობელთა ფიზიკურ თვისებათა, შევნიშნავთ შემდეგს: გალტონის სიტყვით, თანაბარის, ერთნაირის ჯანის, ხასიათის, ფერისა და ზნის მშობლები უფრო ხშირად შობენ ნიჭიერ შვილებს, ვიდრე სხვა-და-სხვა ბუნების მშობლები. უთანხმობა, უთანასწორობა ხასიათისა მშობლებს შორის მეტადრე მავნე ყოფილა შვილებისათვის.

უმეტესი ნაწილი ინგლისელ სწავლულთა ჯანითა და ღონით სავსე იყო და ბევრმა იცოცხლა ღრმად მოხუცებულებამდე. ერთი მათგანი სწერდა: «70 წლის განმავლობაში მე მხოლოდ ორჯელ არ წაველ სამსახურშიო. მთელს ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ორჯელ ამტკივდა თავიო». მათი ცხოვრება გვაჩვენებს, რომ ჯანმრთელობა ჩამომავლობით მიუღიათ მშობლებისაგან.

ჯანმრთელობასთან დიდ ბუნებოვან კაცებს შესწევთ შესანიშნავი მხნეობაც, ანუ ენერგია. უბრალო მომაკვდავის შვილს თითქმის არ ძალუძს იმოდენა შრომა. ბევრნი მათგანნი დილას ახმარებდნენ სამსახურს, საღამოს მეცნიერებას. ეს ფაქტები ცოტა არ ეთანხმებიან იმ, ყველას მიერ მიღებულ, აზრს ვითომც გენიოსობას, ნიჭიერებას არ უნდოდეს ცდა, შრომა, მომზადება განსავითარებლად.

ერთი საყურადღებო თვისებაცა შეჰნიშნა გალტონმა: სწავლულ ხალხსა და მათს მშობლებს დიდი ოჯახობა ჰყავთ. უფრო-კი ხშირად სწავლულთა მშობლებს ჰყავთ ბევრი შვილები. ასს ასეთს ოჯახში, ორთა შუა რიცხვით, თვითეულ ოჯახზე მოდის 6 ქალი და ვაჟი. სწავლულთ ეძლევათ საშუალოთ 4 შვილი, ესე იგი ცოტათი ნაკლები, ვიდრე მათს მშობლებს.

აქ მოხსენებული მსჯელობა გალტონისა, დიდ-ბუნებოვან კაცთა ჯანმრთელობაზე, ხანგრძლივს სიცოცხლეზე და დიდს შვილიერებაზე, სავსებით შეეხება ინგლისს და მის სწავლულთ. სამწუხაროდ, ესევე არ ითქმის არც რუსეთის მოღვაწეებზე და არც ჩვენებზე. ეს, უეჭველად, იმით აიხსნება, რომ ინგლისის ინტელიგენცია ჩვენსაზე გაცილებით მაღლა სდგას ჯანიანობით, რაიც არის დამოკიდებული მათს უკეთესად მოწყობილს აღზრდა-განათლებაზედ.

ყველაზე შესანიშნავი-კი ის არის, რომ ნიჭიერი ხალხი გონება-ჭკუას უთუოდ ჩამომავლობით მიიღებს ხოლმე მშობლებისაგან. გალტონს მრავალი საბუთი მოჰყავს ამის დასამტ-

ლაურის წინამძღოლობით და ცხედარი წაასვენეს ყვარლისაკენ.

ნადიკვრელი.

თელავი 15 მარტი.

⁂ **ბათუმი. ნავთ-სადგურების გასინჯვა.** სამინისტროში გადაუწყვეტიათ, რომ დამდეგს ზაფხულში საგანგებო კომისია გასინჯავს ნავთ სადგურებს: ნოვოროსიისას, ბათომისას და ფოთისას და თავის მოსაზრებას წარუდგენს უმაღლესს მთავრობას.

— **ნავთის ქარხანა ნატანებში.** ბატომში ხმა გავრცელდა, რომ ინგლისის ერთი ამხანაგობა, რომელმაც იყიდა ბათომში ცატუროვისა და ამხ. ნავთის ქარხნები, ამ ცოტას ხანში შეუდგება ნატანებში ნავთის ქარხნის დაარსებას. ამ საქმის თაობაზე ხსენებულის ამხანაგობის წარმომადგენელს, ბ-ნ ა. მატიევიჩს უკვე მოლაპარაკება დაუწყია ნატანების ნავთიან მიწის პატრონებთან.

— **საოლქო სასამართლოს განყოფილება ბათომში** ქუთაისიდგან გამოვა ამ თვის დამლევს და საქმეთა გარჩევას დაიწყებს მარტის 31-დან, ხოლო ესევე განყოფილება სოხუმში უკვე გაემგზავრა და 17 მარტს შესდგომია საქმეების გარჩევას.

— **საბინძურე და მისა ხელშემწყობნი გარემოებანი.** ბათომელ მკვიდრს, თავშიაც რომ ჩაქუჩი ურახუნოთ მაინც ვერ დააჩვევთ სუფთაობას. მაგალითად, სმეკალოვის ქუჩაზე ზოგიერთნი მკვიდრნი ისე იქცევიან, რომ ამაზე მეტი წრეს გადასვლა შეუძლებელია. ღამ-ღამეობით ქუჩაზე ასხამენ და ჰყრიან ყოველგვარ სიბინძურეს და ადამიანს გავლაც უძნელდება ამ ქუჩაზე, საზარელი, ცუდი სუნის გამო.

⁂ **სოხუმი. საყასბოების სამურდლე.** ისე არც ერთს ქალაქს არ ეტყობა უპატრონობა, როგორც სოხუმს. აქაო და ქალაქს გამგეობა არა ჰყავსო, ვისაც როგორ უნდა, ისე იქცევა და ყურსაც არ იბერტყავენ სუფთაობის დასაცველად. განსაკუთრებით, ყოვლად საზარელ მდგომარეობაშია აქაური საყასბო, სადაც საქონელს ჰკლავენ ხოლმე. ისეთი ტალახი, ისეთი ბინძურობა არა გვგონია სადმე იყოს. საკვირველია, აქამდის როგორ არ გაჩნდა ხოლერა ან ჭირი! ამ დალოცვილებს ის მაინც დააფიქრებდათ, რომ შავი ზღვის ერთს ქალაქში—ფეოდოსიაში—ამ დღეებში ბომბეიდგან ჩამოსულ გემზე უკვე აღმოჩნდა შავი ჭირით ავადმყოფი და, დღეს არა ხვალ, ეს საზარელი სენი ადვილად შემობრძანდება ჩვენს ბინძურ ქალაქშიაც.

⁂ **მადლობის გადახდა.** ნება მიბოძეთ, ბატონო რედაქტორო, „ცნობის ფურცლის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნა ბ. ბ. გიორგი ჭინჭარაძეს და გრიგოლ მესხს, რომელთაც მიიღეს შრომა და თავიანთ ნაცნობთა შორის შეკრიბეს ჩემის ობლების სასარგებლოდ 126 მანათი და 67 კაპიკი *).

ქვრივი მაკრინე ივანეს ასული ჩავლეშვილისა.

ქალაქის საბჭო

გუშინ წინ, 17 მარტს, ქალაქის საბჭომ სხვათა შორის შემდეგი საქმეები განიხილა:

1) აღიძრა ბ. მთავარ-მართებლის წინაშე თხოვნა, რომ მთავრობამ წარსულის წლების მაგალითისა დაგვარად ქალაქს დაეხმაროს მატერიალურად ჯარების სადგომებისათვის საჭირო ხარჯში და ამისათვის სთხოვონ 68,000 მანათი ამა წლის ხარჯად.

2) სიონის ქუჩის გასაგანიერებლად ქალაქმა უნდა შეისყიდოს ბ. ეგოროვისაგან ორი საჟენის სიგანე ალაგი 900 მან. და აგრეთვე ამ საგნისათვის საჭირო ადგილების შესყიდვაზე მოლაპარაკება სხვა მემამულეთანაც მიენდოს ქალაქის გამგეობას.

3) „ვიწრო დაღმართის შესახვევის“ (крутой переулокъ) გასაგანიერებლად ქალაქმა უნდა შეიძინოს ბ. მიხაილოვისაგან საჭირო ადგილი და სამაგიეროდ ქალაქმა თავის ხარჯით უნდა აუგოს მას ქვის კედელი და მით ბ. მიხაილოვის შენობა ჩამონგრევისაგან დაიფაროს.

4) ბევრი ბაასი აღძრა ხმ. ყორღანოვის ვალის გადახდამ. ბ. ყორღანოვს ქალაქისაგან ერგება პირობით 56,000 მან. წყლის მილებისათვის. ამ ფულს ბ. ყორღანოვი ორს ვადაზედ თხოულობს; საბჭომ ვერ გადასწყვიტა ეს საქმე და მიანდო გამგეობას და საფინანსო კომისიას, განიხილონ დაწვრილებით ეს საგანი და საბჭოს მოახსენონ შემდეგ სხდომაზედ.

5) ძმ. დარჩიევების თხოვნა მიწის შესყიდვის თაობაზედ საბჭომ არ შეიწყნარა და დაადგინა საჩივარი აღძრას ქალაქმა ამ საგანზე.

საღამოს დეპეშა

18 მარტი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: კვლავ ნება მიეცეს ცალკე ნომრების გაყიდვისა გაზეთებსა: „გრაჟდანინ-“სა, „სვეტ-“ს და „გლასნოსტ-“ს.

ეკატერინოსლავი. 17 მარტს სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე აზნაურშვილის ევეცკის მოკვლისა; ევეცკი ქალაქის ბაღში გაძარცვეს და მოჰკლეს. დამნაშავედ აღიარებულ იქმნა თეოდოსიის რაზმის ჯარის-კაცი შევცოვი, რომელსაც სასამართლომ 20 წლით კატორგა მიუსაჯა.

კონსტანტინეპოლი. ტოკატოში მომხდარმა უსიამოვნებამ და სისხლის ღვრამ 36 საათს გასტანა. 400 სომეხი მოკლულ იქმნა. სისხლის ღვრაში ოსმალეთის ჯარიც ცოტაოდენს მონაწილეობას იღებდა. პორტამ შეატყობინა ელჩებს, რომ სამხედრო მინისტრმა თანამდებობიდგან გადააყენა სარდალი და გარდა ამისა გამომძიებელ კომისიას უფლება მიანიჭა სიკვდილით დასჯის გადაწყვეტა საბოლოოდ და განუსაჩივრებლად. ელჩებმა ტოკატოში კომისია გაჰგზავნეს, არხაბახის ოლქის სხვა-და-სხვა ადგილასაც დიდი სისხლის ღვრა იყო და რამდენისამე დღეს გასტანა.

ბერლინი. დაბეჭდილია პროფესორის კოხის წერილი ჭლექის ახალის წესით გაკეთებულ წამლის შესახებ. მრავალ შემთხვევაში ეს წამალი ჭლექიანს არჩენს, მაგრამ კოხი იმ აზრისაა, რომ ჯერ ადრეა ეს ჭლექიანნი სრულიად განკურნებულად ჩავთვალოთ, ვიდრე ხანი და დრო არ დაგვარწმუნებს, რომ ეს სენი კვლავ არ განუახლდებათ. კოხის სიტყვით, ამ ახალს წამალს ავადმყოფისთვის არავითარი ვნება არ მოაქვს. ახალი წამალი კანს ქვეშ შესასხურებელია. იგი სახმარებლად უკვე შემოღებულია.

ტულონი. 17 მარტს მოვიდა გემი ,,სისოი ველიკი''. დაჭრილნი ზღვის ნაპირას გადაიყვანეს და საავადმყოფოში დააწვინეს.

ხარკოვი. ოლქის სასამართლოში დაიწყო განხილვა ჩერნიგოვის გუბერნიის ყაზახის პროხორცევის საქმისა, რომელიც სათადარიგო ჯარის პოდპორუჩიკს ნიკიტინს უწონებდა თავისს თავს და რომელსაც ბრალად ედება მეხილე-ქალის სტრელოვის მოკვლა მისდა გასაძარცველად. პროხორცევს დაურჩევია სტრელოვისა და მისი გვამი დერეფანში ჩაუფლავს. პოლიციამ პროხორცევის ბოროტ-მოქმედება მხოლოდ ძაღლის ლეკვის შემწეობით აღმოაჩინა, რომელსაც იმ ალაგას მიწა გაეთხარა. პროხორცევს ბევრი სხვა ბრალიც ედება, განსაკუთრებით მკვლელობათა ჩადენა. მალვე ჰბრალდება შავის ზღვის პირა ოლქში ჩადენილი ყაჩაღობა. პროხორცევი დიდს უარზეა, დამნაშავეარა ვარო. ბრალდებული ახალგაზდაა და გარეგნობით განვითარებულს კაცსა ჰგავს.

ლონდონი. კონსტანტინეპოლიდგან იუწყებიან: სულთანმა ირადე გამოსცა და აცხადებს, რომ ტოკატოში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის საქმეთა შესახებ ყოველს განაჩენს მე თითონ დავადგენ და არა გამომძიებელი კომისიაო.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი სწრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუალამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

კიცებლად. მაგალითებრ, ბენტამის ჩამომავლობაში გამოდიან შესანიშნავი იურისტები, დარვინისაში—ბუნების-მეტყველნი, როსკოს ოჯახში ბელლეტრისტებიო. სამწუხაროდ, ჩვენს მწერლობაში არ არის საკმარისი მასალა შეკრებილი, რომ შეგვედარებინა, თუ რამდენად მართლდება ეს კანონი ჩვენშიაც.

მოვიხსენიებთ ჩვენ მხოლოდ ერთს, ყველას მიერ ცნობილს, მაგალითს. გიორგი ერისთავი დიდი მოყვარული იყო ქართულის თეატრისა და სამართლიანიდ ითვლება მისს მამა-მთავრად.] ბევრი პიესებიც დასწერა. «სამშობლოს» ავტორი დავით ერისთავი მისი შვილი იყო.

ყოველსავე ზემოდ ნათქვამს რომ დავაკვირდეთ, გამოდის, რომ ძველსა და კეთილშობილ გვარში უფრო მოსალოდნელია, დაიბადოს ტალანტი და გენიოსი.

ამ მხრივაც რომ გავშინჯოთ ჩვენი ძველი და აწმყო მოღვაწენი, დავრწმუნდებით, რომ აღნიშნული აზრი არ არის სიმართლეს მოკლებული. ნიკოლოზ ბარათაშვილი, დავით და გიორგი ერისთავები, დავით გურამიშვილი ვახტანგ VI, ანტონ კათალიკოსი, საბა-სულხან ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მამია გურიელი, და სხვა მრავალნი, ეკუთვნიან ძველის ძველს და წარჩინებულს გვარეულობას.

ამ რიგად, გენიოსი არის ნაყოფი კაცთა შრომისა, სწავლისა, ცოდნისა, ბეჯითობისა, არის დასაჩუქრება წინაპართა გამრჯელობისა. ერთს საგვარეულოში რამდენიმე თაობა რომ მუყაითი, მშრომელი და ქონების დამზოგველი და გამფრთხილებელი იყოს, უეჭველია, შემდეგის თაობის ხელში დიდი სიმდიდრე მოიყრის თავს. ამ ნაირადვე, თითქოს, ძველს და კეთილშობილ გვარეულობაში იკრიბება ჭკუა-გონებაც, ტალანტიც, იკრიბება დიდის ხნის განმავლობაში და ეს შეკრებილი ძალა გონებისა მერე ერთში იჩენს ხოლმე თავს. ამ ბედნიერზედ იტყვიან, რომ გენიოსი დაიბადაო.

მაშასადამე, ტალანტი, გენიოსობა ციდამ არ ჩამოვარდნილა, არამედ ყოფილა ნაყოფი კაცთა შრომისა, გაფრთხილებისა, სწავლისა, ცდისა. მაშასადამე, ყოველი კაცი, რომელიც სწავლით, განათლებით სწრთვნის თავისს ჭკუა-გონებას, დაფარულად, შეუმჩნევლად ამზადებს სარბიელს, ნიადაგს, რომელზედაც შემდეგში აღმოცენდება ტალანტი.

ზემოდ ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ, თუ რა მჭიდრო კავშირი აქვს სულიერს სიცოცხლეს ადამიანისას ხორციელთან. ვსთქვით, რომ ჩამომავლობის სვე-ბედი სავსებით დამოკიდებულია მშობლების სულიერსა და ხორციელს სიმრთელეზედ. სამწუხაროდ, ჩვენ დროში ძალიან მცირედს ყურადღებას აქცევენ ამ საგანს. ჩვენში ახალგაზდანი უფრო ბეჯითად კითხულობენ მას, თუ რამდენი ფული და მზითევი აქვს ქალს და რამდენი ჯამაგირი ანუ მამული აქვს საქმროს. ჯანმრთელობა და სულისა და გულის სისპეტაკე-კი მეწყერსაც წაუღიაო. ამიტომ არის, რომ იშვიათად შეხვდებით ცოლ-ქმართ, რომ ჭეშმარიტად, უანგაროდ უყვარდეთ ერთმანეთი. ასეც უნდა იყოს, რადგან სიყვარულისთვის საჭიროა თანხმობა ხასიათებისა, სრული შესმენა და გაგება ერთმანეთის ინტერესებისა, ამისათვის კიდევ საჭიროა გონების თანაბარი განვითარება. ამ საგნებს-კი ახალგაზდობა ნაკლებად აქცევს ყურადღებას. სიყვარული მეუღლეთა შორის-კი ფრიად საჭიროა, არა თუ პიროვნულ სიტკბოებისათვის, არამედ და უფრო მეტად, მისთვის, რომ დაიბადოს ნიჭიერი ჩამომავლობა, ტალანტი, გენიოსი.

„რომ დავფიქრდები ხოლმეო, ამბობს მაუდსლი: რამოდენა ხალხი იწერს ჯვარს დაუფიქრებლივ, მიუხედავად თავისის გონების და სხეულის ნაკლულევანებათა, მიუხდომელად იმისა, თუ რა ვნება მოსდევს, ამას ჩამომავლობისთვის, იმათთვის, ვისაც იგინი გადასცემენ თავიანთ სიმახინჯეს,—უნებლიედ ვადგები იმ აზრს, რომ ადამიანი არ არის ისეთი უზენაესი არსება, როგორც მას თითონ ჰგონია. კაცი რწმუნდება მუდამ ჟამს, ყოველ ნაბიჯზე, რომ მცხოვრებლებში, პირუტყვებში კარგნი თუ ცუდნი თვისებანი მშობლებისა გადადიან ჩამომავლობაზედ, მაგრამ ფიქრობს: ეს ცხოველებშია ასეო, მე კაცი ვარ, ადამიანი, ჩემზე არ მოქმედობს ეს ბუნების კანონიო. რა შეცდომაა! განა კაცი გაექცევა სადმე და დაემალება იმ კანონს, რომელიც სავალდებულოა ყოველის ცოცხალის არსებისათვის? როდის უნდა შეიგნოს ადამიანმა, რომ თუ ის დღეს ყველა სულდგმულზედ მაღლა სდგას, თუ ის დღეს მეფეა ცხოველთა შორის,—ესეც ნაყოფია იმავე ბუნების კანონთა მოქმედებისა და გავლენისა. როდის უნდა ჩაჰხვდეს კაცი, რომ მხოლოდ ამ ბუნების კანონების შესწავლით და შეგნებით შეიძლებს თვითვე შეჰქმნას ხოლმე საკუთარი სვე-ბედი“.

ფიზიკურს და ზნეობრივს მდგომარეობას მშობლებისას, ესე იგი მათს ჯანმრთელობას, ცხოვრებას, ჩვეულებათ, ხასიათს და ურთიერთ შორის დამოკიდებულებას აქვს უდიდესი გავლენა შვილების სულიერს და ხორციელს სიმრთელეზედ. რამდენი ცრემლი აღარ დაიღვრებოდა, რამდენს დარდსა და წუხილს მოელებოდა ბოლო, რომ მშობლებს ეს კარგად ესმოდეთ და ახსოვდეთ. ამაზედ არის აი სწორედ ნათქვამი: „რასაც დასთეს, იმას მოჰმკიო“.

მ.

---

*) ამასთანვე მივიღეთ გრძელი სია შემომწირველთა, მაგრამ, როგორც ადრევაც გამოვაცხადეთ, ულაგობა გაზეთში ნებას არ გვაძლევს ასეთი სიები ვბეჭდოთ ხოლმე. რედ.

ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 1 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ. მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

ნიხრი

იანვრის 28-დამ 1897 წ. ვიდრე შეიცვლებოდეს

ძროხის ხორცი 1 ხარისხისა
უძვალსკოდ 1 გირვანქა . . 8 კაპ.
სუკი 1 გირვანქა . . . . . 12 „
ცხვრის ხორცი უძვალსკოდ
1 გირვანქა . . . . 8 „

განცხადებანი

განსაკუთრებულ
საათების
სახელოსნო
ბეგლიარ
ავაკიანცისა

სათავად აზნაურთ ქარვასლა.

ვღებულობ ყოველგვარ საათებს შესაკეთებლად. ფასი ყველაფერზე ზომიერია. ყოველ შეკვეთას ვასრულებ წმინდად და სინიდისიერად.

ბეგლარ ავაკიანცი.

იქვე გამართულია
საოქრომჭედლო სახელოსნო
ნიკოლოზ იმედოვისა

სახელოსნო ასრულებს ყოველ გვარ საქმეს ოქრო-მჭედლურ ხელობისას სუფთად, მკვიდრად, შნოიანად, სწრაფად და იაფად!

(30—12)

დროებით ისყიდება ვარშავის
ყრუ-მუნჯთა ხელსაქმობა
მშვენივრად და შნოიანად გაკეთებული ხისაგან სხვა-და-სხვა სურათების ჩარჩოები, სამელნეები, თეფშები, საფერფლეები და სხვა მრავალი ოჯახში საჭირო ნივთი.

ადრესი: ტფილისი, ვორონცოვის ძეგლთან, „ვენეციას ნომრებში“ № 6.

Кустарныя издѣлія Варшавскихъ Глухо-нѣмыхъ; изящныя вещи справится въ номерахъ „Венеція“, по Воронцовск. улицѣ. (3—3)

Вышла пятая, Февральская, книжка. НАУЧНО-ЛИТЕРАТУНАГО И ПОЛИТИЧЕСКАГО ЖУРНАЛА

„НОВОЕ СЛОВО“

СОДЕРЖАНІЕ: 1. Въ чужомъ гнѣздѣ. Романъ. XVII—XXII. К. Ельцовой. 2. Задачи соціологіи и теоріи исторіи. (Окончаніе). Н. Карѣева. 3. Охрименко. (Отрывочныя воспоминанія объ увлекающемся человѣкѣ). Б. Сторожевскаго. 4. По кочевьямъ забайкальскихъ бурятъ. І. М. Кроля. 5. Обѣтованная земля. Романъ. Кн. П. I—VIII Генриха Понтопидана. (Съ датскаго). 6. *** Стихотвореніе П. Я. 7. Александръ Ивановичъ Герценъ и Наталья Александровна Захарьина. (Ихъ переписка). 8. „Въ наймы“. Авторскій переводъ съ украинскаго. Димитрія Марковича. 9. Профессоръ философіи. Романъ (Окончаніе). Е. Грей Вильрайтъ. Перев. О. П. 10. Земескіе расходы. (Окончаніе). С. Г—ина. 11. Культура и образованіе. (Взглядъ на современную Германію). Проф. Іенскаго университета В. Рейна. 12. Новости иностранной литературы. Л. О. 13. Новыя книги. 14. Обозрѣніе внутренней жизни. I. К. вопросу о народномъ благосостояніи и податной системѣ. М. Слобожанина. II. Условія переселенческаго движенія въ 1896 г. Мих. Григорова. III. Съѣздъ сифилидологовъ въ С.-Петербургѣ. (Сифилисъ, какъ бытовая болѣзнь сельскаго населенія). П. О. Письма изъ провинцій. Изъ Ялты. (Земельный пролетаріатъ въ Крыму). Г. З—ва.—Изъ Пензы. (Грамотность въ гемеопатической дозѣ). В. Быстренина.—Изъ Якутска. (Къ вопросу о ссылкѣ въ Якутскую область. Ф. К.—Изъ Оренбургской губ. (Орское попечительство о народной трезвости). Влад. П—аго 15. Николай Ивановичъ Наумовъ. А. Скабичевскаго. 16. Обзоръ заграничной жизни. I. Куба и критъ. II. Интересы дня. В. Т. 17. О переписи. (Замѣтка). Н. О. Осипова. 18. По подову внутреннихъ вопросовъ. С. К. 19. Обо всемъ. О. Барановой. 20. Новыя книги, присланныя въ редакцію въ январѣ. 21 Объявленія. 22. Проложеніе: Исторія англійскаго народа въ его литературѣ. Соч. Ж. Жюссерана.

Выходитъ ежемѣсячно отъ 25 до 30 печ. листовъ.

Подписной годъ съ 1-го октября 1896 г. по 1-е октября 1897 г.

подписная цѣна:

Съ пересылкой на годъ 10 р., на полгода 5 р., на три мѣсяца 2 р. 50 к
Безъ пересылки на годъ 9 р., съ перес. за границу на годъ 12 р.

За ту же цѣну можно выписывать журналъ и за первый годъ изданія, съ 1 окт. 1895 г. по 1 окт. 1896 г.

Лица, внесшія сразу полную подписную сумму за весь годъ, пользуются, кромѣ даровой пересылки, уступкой въ 10% со всѣхъ изданій О. Н. Поповой, исключая сочиненій Н. А. Добролюбова и изданій по подпискѣ.

Контора редакціи: С.-Петербургъ, Спасская ул., д. № 15, кв. № 1. Отдѣленіе конторы С.-Петербургъ, Невскій пр., д. № 54, „Библіотека Черкесова“.

Москва: отдѣленіе конторы „Новое Слово“, книжный Магазинъ „Трудъ“, Тверская, д. Спиридонова.

Книжные магазины, при полной годовой подписной платѣ, пользуются уступкой 40 к. съ экземпляра. Подписка по частямъ года допускается только черезъ контору редакціи и ея отдѣленія.

Получая неоднократно заявленія отъ провинціальныхъ читателей о затрудненіи въ выборѣ и выпискѣ книгъ, контора редакціи беретъ на себя составленіе списковъ, высылку каталоговъ и книгъ и съ удовольствіемъ будетъ отвѣчать на всѣ запросы провинціальнаго читателя.

Лица, выписывающія изданія О. Н. Поповой черезъ контору редакціи и ея отдѣленія въ Спб., за пересылку не платятъ, исключая сочиненій Н. А. Добролюбова, за пересылку которыхъ взимается по разстоянію, и изданій по подпискѣ.

◆ **Каталогъ Изданій** по требованію высылается **безплатно.** ◆

Издательница О. Н. Попова. Редакторъ А. Н. Поповъ.

(2—1)

IV-й г. изд. **Открыта подписка на 1897 г.** **IV-й г. изд**

на еженедѣльный иллюстрированный
безъ предварительной цензуры
экономическій и сельско-хозяйственный журналъ

ХОЗЯИНЪ

Кромѣ обычныхъ въ сельскохоз. журналахъ статей по всѣмъ отаслямъ сельскаго хоз. и сел.-хоз. техники, въ журналѣ помѣщаются передовыя статьи, статьи по экономіи, финансовъ и статистикѣ, обзоры сельско-хоз. дѣятельности земствъ, научные обзоры, обзоры сельско-хоз. литературы, рынки. Отвѣты на вопросы Въ каждомъ номерѣ 2500—2800 строкъ одного только текста.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на годъ съ дост. 6 р., на полгода 3 р. Разсрочка по одному рублю въ мѣсяцъ. Годовые подписчики получатъ въ теченіе года безплатно слѣдующія:

КНИЖКИ ХОЗЯИНА:

1) руководство по огородничеству. П. М. В. Рытова. 2) справочная книжка по сельскохозяйственной архитектурѣ. 3) Архитектурный альбомъ важнейшихъ сельскохоз. построекъ. въ журналѣ принимаютъ участіе своимъ сотрудничествомъ почти всѣ сельско-хозяйственные писатели (журналъ насчитываетъ свыше 300 сотрудниковъ); въ томъ числѣ помѣщали свои статьи: И. И. Абозинъ, А. П. Адріановскій, В. А. Анзиміровъ, А. А. Арфмельдъ, графъ Ѳ. Г. Бергъ, В. А. Бертенсонъ, проф. С. М. Богдановъ, проф. А. И. Воейковъ, князь В. Д. Друцкой-Соколинскій, проф. В. В. Докучаевъ, И. М. Кабештовъ, АВ. А. Калантаръ, князь В. А. Кудашевъ, проф. К. Н. Кулешовъ, Пав. Ив. Левицкій, проф. К. Э. Линдеманъ, А. Я. Масленниковъ (съ Сѣверной фермы), А. П. Мещерскій, (авторъ „Писемъ деревенскаго хозяина“), А. П. Мертваго, М. В. Неручевъ, князь Д. М. Оболенскій, инж. Г. Перримондъ, проф. М. А. Придорогинъ, Л. А. Потѣхинъ, проф. Д. Прянишниковъ, И. М. Рева, А. А. Радцигъ, М. В. Рытовъ, П. Р. Слезкинъ, А. П. Субботинъ, проф. А. В. Совѣтовъ, проф. И. А. Стебутъ, инж. П. В. Степановъ, проф. К. А. Тимирязевъ, Г. И. Танфильевъ, проф. А. Ѳ. Фортунатовъ, А. Р. Ферхминъ, проф. Н. П. Чирвинскій, И. І. Шатиловъ, Р. И. Шредеръ, В. С. Щербачевъ, М. А. Энгельгардтъ и многіе др.

Контора и редакція: Спб. Невскій пр., № 92.

Ред. А. П. Мертваго. Изд. И. А. Машковцевъ.

(6—3).

აზიური მაღაზია

ასლან ავალიანისა

(გოლოვინის პროსპექტი, შიოევის სახლში, ტფილისის კრუჟოკის ქვეშ)

მუდამ ჟამს მაქვს გასასყიდათ მრავალი სხვა-და-სხვა ღირსების შალები: იმერული, მეგრული, ლიგორული, ლეკური და სხვ. აგრეთვე თივთიკები; ქამარ-ხანჯალი, მასრები და სხვა იარაღები და მოწყობილობა.

იქვე მაქვს მშვენივრად გამართული სამკერვალო და ფეხსაცმელთა სახელოსნო.

ფასი ყველაფერზე ზომიერია. შეკვეთას ვასრულებ სწრაფად და სუფთად.

!!!რკინის გზაზე მოსამსახურეთა საყურადღებოდ!!!

მაქვს პატივი ვაუწყო ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა და მოხელეთა, რომ ჩემს მაღაზიაში მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველთვის ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით

◆ **ჩერქეზული ტანისამოსი თავის მოწყობილობით** ◆

მსურველთ უნდა წარმოადგინონ რკინის გზის „დამზოგველ საზოგადოების“ მოწმობა და მაშინ იმათ დაეთმობა ღირებულ ფასიდან 10%, ანუ მანათზე ორი შაური.

პატივისცემით ასლან ავალიანი.

Азіятскій магазинъ и мастерская А. Аваліани
Тифлисъ. Головинскій пр. д. Шіоева, подъ Тиф. Кружкомъ.

(15—15)

Магазинъ
О. ЗИБЕРТА
Дворцовая.

равюры, фотографіи и платинотипы съ произведеній **ИЗВѢСТНЫХЪ ХУДОЖНИКОВЪ** фирмы Буссо, Валадонъ и Кº въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ
СЕРЕБРЯННЫЯ ВЕЩИ фабрики **МЮЛЛЕРЪ въ РИГѢ**

Большой выборъ: *альбомовъ дорожныхъ и дамскихъ* **НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕИ** и т. под.. **МЕЛЬХІОРОВЫХЪ ВЕЩЕЙ,** издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и. т. д.

Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.

(50—26)

Открыта подписка ня 1897 г. (IV-й годъ изд.).

НАУЧНОЕ ОБОЗРѢНІЕ.

Съ 1897 года „Научное Обозрѣніе“ будетъ выходить ежемѣсячно въ увеличенномъ объемѣ, а именно книжками обыкновеннаго журнальнаго формата, не менѣе 200 стр. каждая. Программа расширена (добавленъ отдѣлъ общественныхъ наукъ). Задача журнала остается прежнею: обзоръ новѣйшихъ успѣховъ науки и статьи, представляющія общенаучный интересъ. Отдѣлы библіографіи и научныхъ новостей будутъ увеличены. Журналъ предназначенъ для общаго круга интеллигентныхъ читателей; поэтому редакція стремится совмѣстить строго-научный характеръ статей съ доступностью изложенія.

Въ приложеніяхъ (съ особымъ счетомъ странъ.) будутъ даны переводы вновь выходящихъ или имѣющихъ историческое значеніе трудовъ. Приложенія на 1897 годъ: сочиненіе Спенсера, еще не появлявшееся въ русск. переводѣ.—Одно приложеніе по исторіи культуры.—„Наслѣдственность и Пангенезисъ“ Дарвина, переводъ съ послѣдняго, значительно исправленнаго Дарвиномъ, изданія.

Въ истекшіе годы участвовали слѣдующіе авторы: проф. Н. А. Бекетовъ, князь Б. Б Голицынъ, доцентъ В. А. Вагнеръ, проф. А. Васильевъ, проф. М. Ганинъ, проф. С. П. Глазенапъ, д-ръ химіи Гинзбургъ, д-ръ геологіи В. Дингельштедтъ, доцентъ А. Н. Карножицкій доцентъ Г. А. Кожевниковъ, проф. Н. Кузнецовъ, В. В. Лесевичъ, проф. физики Н. Любимовъ, проф. Ир. Скворцовъ, проф. А. С. Трачевекій, В. Тюринъ, проф. Н. А. Холодковскій, В. Чешихинъ, П. Ю. Шмидтъ и многіе. др.

Подписная цѣна: на годъ СЕМЬ руб. (за-границу ДЕСЯТЬ руб.). Полгода ЧЕТЫРЕ руб. При обращеніи въ редакцію допускается разсрочка по рублю въ мѣсяцъ. Народнымъ учителямъ и учительницамъ, фельдшерамъ и фельдшерицамъ—уступка (пять рублей въ годъ, съ разсрочкой по желанію).

Адресъ ред. и главн. конторы: С.-Петербургъ, Екатерининская ул., д. 6, кв. 8.

Журналъ выходитъ 15 числа каждаго мѣсяца.

Ред.-изд. д-ръ философіи М. Филиппов.

(10—6).

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 го Марта 1897 г. სტამბა შ. შარაძის და ამხ. ხაჯ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.